# *რაჭის ლანდშაფტთა მდგრადობა და მევენახეობის(ხვანჭკარა)განვითარების პერსპექტივები.*

თათია გეწაძე

ელ-ფოსტა:tatia.getsadze143@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი,ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ი.ჭავჭავაძის გამზ.3,თბილისი,0179საქართველო

მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება სათუთ და ფაქიზ მიდგომას საჭიროებს, რადგან ერთი და იგივე ანთროპოგენური დატვირთვის პირობებში რისკ-ფაქტორები უფრო მეტად მთიანი რეგიონებისთვის არის ზიანის მომტანი. ლანდშაფტთა მდგრადობაში იგულისხმება ბუნებრივი და ანთროპოგენური დატვირთვის პირობებში გარემოს ელემენტების რეაქცია. საკვლევი რეგიონის ბუნებრივი გარემოს კომპონენტები (რელიეფი, ჰაკა, ნიადაგ-მცენარეული საფარი და ა.შ.) მეტ- ნაკლებად ტრანსპორმირებულია ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორებით . რაჭის ტერიტორიაზე უცხო არ არის ბუნების ისეთი სტიქიური პროცესების განვითარება, როგორიცაა: მეწყერი, ღვარცოფი , ეროზია და ა.შ. რაც დიდ ზიანს წარმოადგენს ეკონომიკის ისეთი დარგების განვითარებისათვის, როგორიც სოფლის მეურნეობა და ტურისტულ- რეკრეაციული ინდუსტრიაა. სწორედ აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად და ბუნების რეგულირება-მართვის საკითხებისადმი არის მიძღვნილი წინამდებარე ნაშრომი.

ასევე განხილულია რაჭაში არსებული ნიადაგის ტიპები,გავრცელებული ვაზის ჯიშები და მევენეხეობის განვითარების პერსპექტივები.